ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომის

ოქმი N 26

30.07.2024
სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომა ჩატარდა თვითმმართველობის შენობაში არსებულ სხდომათა დარბაზში, სხდომას ხელმძღვანელობდა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბექა ქებულაძე.

ესწრებოდნენ კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის წევრები:

თეა ჯუღელი, ჯემალ ბიბილეიშვილი, მარეხი ნიჟარაძე, მანანა ჩიხლაძე, მიხეილ გიორგაძე, ბესიკ ხამაშურიძე.

სულ 7 წევრი.

არ ესწრებოდა: ხათუნა არველაძე, კახა გაბუნია, ქეთევან ხურციძე, თედო მესხი, ანა კოხრეიძე, ნინო ჩიკვაშვილი.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ბექა ქებულაძემ და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ფოლკლორის ცენტრის - სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესახებ, გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა.

ქალბატონი ზეინაბ ბურჯანაძე
ა(ა)იპ ფოლკლორის ცენტრის- სიმღერისა და ცეკვის
სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის დირექტორი

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება.

ერთხმად დაადგინეს:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველი საკითხი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ფოლკლორის ცენტრის -სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესახებ, გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა.

ზემოაღნიშნული საკითხი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ფოლკლორის ცენტრის-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის დირექტორმა, ქალბატონმა ზეინაბ ბურჯანაძემ.

ზეინაბ ბურჯანაძე: ,, მოგესალმებით, წარმოგიდგენთ ა(ა)იპ ფოლკლორის ცენტრის-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მიერ, იანვრიდან დღემდე ჩატარებული ღონისძიებების ნუსხას:

9 იანვარი - ლ. მესხიშვილის სახ. პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი. ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სოლო კონცერტი.

3 მარტი - თბილისი ჰუალინგი ზღვის ქალაქი. ფესტივალი „იმედი ერისა". ბავშვთა ქორეოგრაფიული ამსამბლი ,,იმედი".

31 მარტი - თბილისი. საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირი. ბავშვთა ფოლკლორული გუნდი „იმედი".

4 აპრილი - ზუგდიდი (ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის საკონცერტო დარბაზი) , ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სოლო კონცერტი.

6-11 აპრილი -ესპანეთის სამეფო. კოსტა-ბრავა. საერთაშორისო საგუნდო ფესტივალი და

კონკურსი „მონსერატის ოქროს ხმები" -გრან-პრი. სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ვაჟთა გუნდი.

15 აპრილი- თბილისი. რუსთაველის ეროვნული თეატრი. „ცეკვავენ პატარა ვარსკვლავები", ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი" .

22 აპრილი - „შატო გელათი" - ევროპის ისტორიული თერმული ქალაქების ასოციაციის გენერალური ასამბლეა. სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ვაჟთა გუნდი.

12 მაისი - წყალტუბო. საკონცერტო დარბაზი. ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლების ფესტივალი. ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი"

12 მაისი - თბილისი. ვანო სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია. ფესტივალის „იპოვე შენი ვარსკვლავი" დაჯილდოვების ცერემონია - პირველი ადგილი. ბავშვთა ფოლკლორული გუნდი „იმედი".

17 მაისი - ქუთაისი. ას საფეხურიანი კიბე. ოჯახის სიმწმინდის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი. სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ვაჟთა გუნდი.

26 მაისი -თბილისი. ევროპის მოედანი. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი გალა კონცერტი. სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ქორეოგრაფიული ჯგუფი.

31 მაისი - ქუთაისი. ბაგრატის ტაძარი. დელეგაცია ჩინეთიდან. სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ვაჟთა გუნდი.

31 მაისი - 5 ივნისი. საფრანგეთი. „ლევილის ქართული ფესტივალი". სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ქორეოგრაფიული ჯგუფის კონცერტები.

11 ივნისი - თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი.
ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სოლო კონცერტი.

13-18 ივნისი. იაპონია. „ქართული კულტურის ფესტივალი იაპონიაში (ტოკიო) ". სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ქორეოგრაფიული ჯგუფის კონცერტები.

16 ივლისი - ზუგდიდი. პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის მე-4 საერთაშორისო ფესტივალი „კოლხი და...". სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ვაჟთა გუნდი.

19 ივლისი- ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფიზიკის ოლიმპიადა. სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ვაჟთა გუნდი.

ეს გახლავთ დღემდე ჩვენს მიერ ჩატარებული ღონისძიებები. წინ კიდევ ბევრი კონცერტი გველოდება. ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლს იცნობს მთელი საქართველო და ამასთანავე იცნობენ როგორც ბრენდს.
მზად ვარ შეკითხვებისთვის."

თეა ჯუღელი: ,,თქვენი გეგმების შესახებ რა შეგიძლიათ გვითხრათ?'

ზეინაბ ბურჯანაძე: ,, სურვილი მაქვს პროექტი, რასაც ჰქვია ტურნე საქართველოს რეგიონებში, შევძლოთ და ვეცდები გარკვეული წილი დაფინანსების მოვიპოვო კულტურის სამინისტროდან.

ასევე, მომავალ წელს , შეკვეთილში-,,Black sea arena"-ს დიდ საკონცერტო დარბაზში შედგეს ჩვენი ანსამბლის სოლო კონცერტი. იმედი გვაქვს თქვენი მხარდაჭერით შევძლებთ".

საკითხთან დაკავშირებით დებატები არ გამართულა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის წევრებმა.

ღია კენჭისყრით , ერთხმად დაადგინეს:

მოწონებულ იქნეს დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი - ა(ა)იპ ფოლკლორის ცენტრის-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესახებ, გაწეული ანგარიშის მოსმენა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა, სპორტის კომისიამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს კულტურის, განათლების,

ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის

თავმჯდომარე ბექა ქებულაძე